საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს რკინიგზა

2024 I კვარტალი

20.05.2024
www.geostat.ge

20.05.2024

სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის I კვარტალი)

2024 წლის I კვარტალში, საქართველოს რკინიგზით გადატანილია 3.2 მლნ. ტონა ტვირთი[1], რაც 2.5 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მოცულობის 12.0 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვაზე, 28.9 პროცენტი - საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 59.1 პროცენტი - ტრანზიტზე.

რკინიგზით გადაზიდული ტვირთის წონა ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით,
(ათასი ტონა)



2024 წლის I კვარტალში საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის ჯამური მოცულობის 29.4 პროცენტი მოდის ქვეყნიდან გატანილ ტვირთზე, 70.6 პროცენტი კი - ქვეყანაში შემოტანილზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა 2022-2024 წლებში:

[1] **წყარო:** სს „საქართველოს რკინიგზა“.

საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა,
(ათასი ტონა)



2024 წლის I კვარტალში რკინიგზით შემოტანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 53.5 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, 22.9 პროცენტის გამომგზავნს - აზერბაიჯანი, თითოეული დანარჩენი გამომგზავნი ქვეყნების წილი 10-10 პროცენტზე ნაკლები იყო (ჯამურად 23.6 პროცენტი).

2024 წლის I კვარტალში რკინიგზით გატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 10.2 პროცენტის დანიშნულების ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, თითოეული დანარჩენი ტვირთის მიმღები ქვეყნების წილი 10-10 პროცენტზე ნაკლები იყო (ჯამურად 89.8 პროცენტი).

2024 წლის I კვარტალში ტრანზიტით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის[2] განაწილება დანიშნულების ქვეყანის მიხედვით შემდეგნაირი იყო: 16.2 პროცენტი - ნიდერლანდები, 8.1 პროცენტი - თურქეთი, 7.9 პროცენტი - ჩინეთი, 3.3 პროცენტი - იტალია, 3.3 პროცენტი - უკრაინა, 2.4 პროცენტი - რუმინეთი, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა. ამავე პერიოდში, ტრანზიტით გადატანილი ტვირთის 2.7 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას ბრაზილია წარმოადგენდა, 1.5 პროცენტისას - ჩინეთი, 1.4 პროცენტისას - უკრაინა, 1.3 პროცენტისას - საბეძნეთი, 1.1 პროცენტისას - აშშ, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა.

საანგარიშო პერიოდში, რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 32.7 პროცენტი მოდიოდა ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე,

[2]მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნიდან/ქვეყანაში გადატანილი ტვირთის მოცულობის მაჩვენებლები არ არის მითითებული.

28.4 პროცენტი - ქვანახშირის, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 9.0 პროცენტი - საკვებ პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე.

2024 წლის I კვარტალში სასაქონლო ჯგუფების მიხედვით განაწილება განსხვავებული იყო ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში და 61.2 პროცენტი ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე მოდიოდა, 12.6 პროცენტი ეჭირა ქვანახშირის, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფს, ხოლო 11.6 პროცენტი - სხვა არამეტალურ მინერალურ პროდუქტებს.

რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, საანგარიშო პერიოდში რკინიგზის საშუალებით ძირითადად შემოტანილია ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი (54.7 პროცენტი), სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (19.8 პროცენტი), ძირითადი ლითონები (6.4 პროცენტი), ლითონის მადანი და სხვა კარიერული პროდუქტები (3.5 პროცენტი) და სოფლის მეურნეობის პროდუქტები (3.5 პროცენტი); ხოლო გატანილია ლითონის მადანი და სხვა კარიერული პროდუქტები (52.6 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (20.5 პროცენტი), ძირითადი ლითონები (13.4 პროცენტი) და სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (8.9 პროცენტი).

2024 წლის I კვარტალში ტრანზიტული ტვირთის მთლიანი მოცულობის 72.5 პროცენტი სამ სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა, კერძოდ: ლითონის მადანი და სხვა კარიერული პროდუქტები (34.1 პროცენტი), ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი (26.6 პროცენტი) და საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (11.8 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა 2024 წლის I კვარტალში:

რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა
სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



2024 წლის I კვარტალში საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 465.9 ათასი მგზავრი, რაც 1.4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში მგზავრთბრუნვის მოცულობამ 128.3 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა, რაც 6.0 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2024 წლის I კვარტალში ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 462.1 ათასი მგზავრი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 99.2 პროცენტს შეადგენს და 0.5 პროცენტით ჩამორჩება 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 3.8 ათასი მგზავრი, რაც 50.7 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილი მგზავრების 56.1 პროცენტი შემოვიდა სომხეთიდან, ხოლო

სომხეთის მიმართულებით გავიდა 43.9 პროცენტი (2024 წლის I კვარტალში სხვა მოსაზღვრე ქვეყნის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა არ განხორციელებულა).

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა,
(ათასი კაცი)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge